N 005 / 05.02.2016

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

ქალბატონ თამარ სანიკიძეს

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ 2016 წლის 18-19 თებერვალს საგამოფენო ცენტრი „ექსპო ჯორჯია" ატარებს უმაღლესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლისა და სტუდენტური სერვისების მე–6 საერთაშორისო გამოფენას – International Education Fair Georgia 2016.

ორგანიზატორი: საგამოფენო ცენტრი „ექსპო ჯორჯია"

პარტნიორი: მედია ჰოლდინგი "gbtimes Georgia".

მხარდამჭერები: www.universityfairs.com; www.edu-guide.ge; www.edu.aris.ge

გამოფენის ფარგლებში 100–ზე მეტი მონაწილე უნივერსიტეტი და საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი იქნება წარმოდგენილი 14 სხვადასხვა ქვეყნიდან. დამთვალიერებლებს საშუალება ექნებათ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია საქართველოსა და მსოფლიოში არსებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, გაცვლითი პროგრამების, სტიპენდიების, გრანტებისა და სწავლის დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ და პირადად გაესაუბრონ მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

მონაწილე ქვეყნები: საქართველო, აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ჰოლანდია, თურქეთი, ჩინეთი, უნგრეთი.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება: უმაღლესი სასწავლებლები, საგანმანათლებლო სააგენტოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები, სტუდენტური სერვისები, ტრეინინგ ცენტრები, უცხო ენების სასწავლო ცენტრები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე საელჩოების მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამები.

გამოფენის საპატიო სტუმარი: 2016 წელს, მედია ჰოლდინგი gbtimes Georgia საგამოფენო ცენტრის ჩინურ პავილიონს წარადგენს. ჰოლდინგის ეგიდით, გამოფენაში მონაწილეობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, zhejiang province-ის სხვადასხვა უნივერსიტეტის 84 წარმომადგენელი და ოფიციალური პირები ჩინეთიდან.

განათლების საერთაშორისო გამოფენა ყოველწლიური ღონისძიებაა, მას 12 000–ზე მეტი ადამიანი სტუმრობს და რაოდენობა მუდმივად იზრდება. წელს გამოფენა ყველაზე მრავალფეროვანი იქნება მონაწილეების მხრივაც და ექსპო ჯორჯიას ოთხ პავილიონს მოიცავს: 4, 5, 6 და 11..

გვსურს მოგიწვიოთ აღნიშნული გამოფენის გახსნაზე მიმდინარე წლის 18 თებერვალს 12:00 საათზე საგამოფენო ცენტრის მე–11 პავილიონში.

პატივისცემით,

არჩილ ტყემალაძე
-დირექტორი-

Expo Georgia Co.
Exhibitions & Events

ს.ს. გამოფენების ცენტრი

118, Tsereteli Ave. Tbilisi 0119, Georgia / საქართველო, 0119, თბილისი, წერეთლის გამზ. № 118
+995 32 234 11 00 +995 32 235 11 00 www.expogeorgia.ge